ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2289844

ნომერი: AR1354910

თარიღი : 06.11.2015

გაცემის თარიღი : 11.11.2015

გაცნობის თარიღი : 12.11.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დ.გურამიშვილი , N 12ა , კორპუსი N5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლამარა თათვიძე პ/ნ 60001069659
- თბილისი დ.უზნაძის ქ. N 91ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის მიერ განხილულ იქნა თქვენი ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ,რომ შენობა რომელზეც დაგეგმილი გაქვთ არსებული აივნის გადახურვა (ნალექის, და დაბინძურების აცილების მიზნით) არის ახლად აშენებული არქიტექტურული თვალსაზრისით დასრულებული, შენობა და მისი იერსახე არ არის დარღვეული, ამიტომ ფასადზე ნებისმიერი, დამატებითი დეტალის მოწყობა მოითხოვს უფრო მეტად ფრთხილ დამოკიდებულებას, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით არქიტექტურის სამსახურს მისი უფკვებამოსილების ფარგლებში ქ. თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს შენობა-ნაგებობათა და საერთო ჯამში ქალაქის დამახინჯებული იერსახე აღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით მიზანშეწონილად არ მიაჩნია მსგავსი სახით აივნის გადახურვა შესაძლებელია მოეწყოს მსუბუქი ტიპის კონსტრიქციული ელემენტებისაგან შედგენილი საძრდილობელი კარბოლუქსის გადახურვით ან ასევე შესაძლებელია მოეწტოს ნაჭრის ტენტი.

– ზემოაღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი მასალისა და დეტალური ზომების დატანით(რის თაობაზეც ინფორმაცია უნდა დააფიქსიროთ მოთხოვნის შინაარსის ტექსტურ ნაწილში ;

ასევე გაითვალისწინეთ თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოების განსახორციელებლად საჭიროა არჩეული ნომენკლატურიასთან ერთად აირჩიოთ შემდეგი ნომენკლატურა– I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები–"საჩრდილობლის მოწყობა".–ქმედება მიუთითეთ ახალი მშენებლობა .

აღნიშნულის განსახორციელებლად მისამართზე www.tas.ge სამსახურის მიერ გეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლოთ ღილაკით "ნომენკლატურის ცვლილება" და შეავსოთ მოცემული ველები.

ზემოაღნიშნულისათვის საჭიროა ასევე გაითვალისწინოთ, რომ ვინაიდან საჩრდილობლის მოწყობით გარკვეულწილად იზღუდება სარეკონსტრუქციო ფართის ზევთ არსებული ბინის მესაკუთრის უფლებები, მის საკუთრებაში არსებული ბინის თავისუფალ ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, რაიმე სახის უთანხმოების წარმოშობის თავიდან აცილების მიზნით, საჩრდილობლის მოწყობის საკითხი ამ ეტაპზევე შეთანხმებული იქნას თქვენს საკუთრებაში არსებული ფართის ზემოთ არსებული ბინის მესაკუთრესთან. აღნიშნული თანხმობა კი უნდა ატვირთოთ "ფაილის მიმაგრების" ველში და ამასთანვე უნდა მოგვაწოდოთ მისი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

1."ინფორმაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან" ველში – საკადასტრო ერთეულის დამატებაში, საკადასტრო კოდში მიუთითეთ საპროექტო ფართის მთლიანი საკადასტრო კოდი, წილობრივი მონაცემებით, ან შესაძლებელია ფართის კუთვნილების დამადასტურებელი საბუთი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ატვირთულ იქნას "ფაილის მიმაგრების" გრაფაში.

2.ვინაიდან განცხადების შევსებისას არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია საპროექტო ფართის საკადასტრო კოდის წილობრივ მონაცემების შესახებ, გაურკვეველია საპროექტო ფართის მესაკუთრის ვინაობა. გამომდინარე აქედან გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა (მინდონილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში)ან ასევე შესაძლებელია ფართის მესაკუთრე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად;

აღნიშნულის წარმოდგენის შემდგომ საჭიროების შემთხვევაში სამსახურის მიერ გეცნობებათ ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ

ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.